სამშობლო

სამშაბათი,
19 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურა[illegible] 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწ[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების ვაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 335. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 335

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე „სამშობლო“-ზე წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით,

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლო**“

ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ანონსი: ორშაბათ, 18 აპრილიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი** მიმდინარე ამბები.

მეეტლე! ნუ მიერეკები ცხენებს

მეეტლე! ნუ მიერეკები ცხენებს.

ნოველა ი. ფელდმანის ცნობილ რომანსიდან 4 ნაწ. მონაწილეობენ: ბერსტინი, ბასალიგი, ვოლგერსკისა და რიბიკოვისა.

ხუთშაბათიდან, 21 აპრილიდან ნაჩვენე იქნება: **გომონის ქრონიკა**. მიმდინარე ამბები. **როდის დასჭკნება სიყვარულის ყვავილები.** ძლიერი დრამა სამ ნაწ. ცნობილ მსახიობთა: ევა ტომსენის და ელზა ფრეილიხის მონაწილეობით. **ქალების მესაიდუმლე**. კოროტიშვინის მონაწილეობით.

ელექტრო „**ამპირი**“ თეატრი

ორშაბათს, 18 აპრილიდან ნაჩვენები იქნება: **გომონის ქრონიკა**, მიმდინარე ამბები.

წმინდა ხსოვნა.

დრამა სამ ნაწილად იტალიელ ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით: ოლგა ბენეტისა, ვიქტორ ბენეტი და ალბერტ კოლო.

ხუთშაბათიდან, 21 აპრილიდან ნაჩვენები იქნება: **გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები. **ცოლი.** არციბაშევის ნაწარმოების „ქმარი“-ს საპასუხოთ. 6 ნაწილად პანეო პოტემკინის სცენარიუსობით. მონაწილეობას მიიღებენ: ლაზაროვისა, მურომსკისა, კობკინსკისა, შულგინისა. სურათს დასდგამს ბ. ნ. სვეტლოვისა. ბავშვებსა და მოწაფეებს არ შეუშვებენ.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“: ლოჟა 85 კაპ, 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ, ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ექიმი ი. ჩარექოზი ქალაქ. სავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.

მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3 1 — თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიკარაძის № 46, ტელეფონი № 87. თ.

ბებია მ. მ. კიხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს წამლებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.

პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 **საათ.**
2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ბეითალი პ. ვ. ნეურონოვი ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

შაბათს ამა თვის 16 აპრილს თავის მამულში ტრაგიკულად გარდაიცვალა

თ-დი ივანე დავითის ძე გურიელი.

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები გიორგი და ნიკო გურიელები და დეიდაშვილები თავადნი იოსებ იულონის ძე დადიანი და ალექსანდრე ვლასის ძე ლორთქიფანიძე დაკრძალვა მიცვალებულისა მოხდება სადგ. სუფსაში ხუთშაბათს 21 აპრილს

(1—140—1)

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

დაბა გინკოვცას რაიონში გერმანელები საარტილერიო მზადების შემდეგ შეტევაზე გადმოვიდენ, მაგრამ უკუვაგდეთ. რეგიტეის თავზე გერმანელების დირიჟაბლები ყუმბარებს ყრიდენ. ნაროჩის ტბის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებმა საარტილერიო ცეცხლი დაანთეს და შემდეგ მტრის ქვეითა ჯარმა იერიში მოიტანა, და რამდენიმე თხრილი დაიკავა. დერევენკის ფრონტზე ხანაპოვიჩკის გასწვრივ სტრახოვიცთან ცხარე ბრძოლა სწარმოებს. დაბა სმირგონთან გერმანელებმა საარტილერიო ცეცხლი გააძლიერეს.

რიგის რაიონში შლოკთან და თელინთან მტრის არტილერიამ ბრძოლა გააჩაღა და აგრეთვე სადგურ ზელბურგთან მტრის არტილერია ბრძოლას აწარმოებდა. დვინის ფრონტზე ბევრ ადგილას საარტილერიო სროლაა. ნაროჩის ტბის რაიონში ბრძოლა მიწყნარდა. სირნეის და კრევოსთან მტრის ცდამ წინ წამოსაწევად იეკის ხაზზე სოფ. მისის და ბაიარკას მიმართულებით იერიში მოიტანეს და რამდენიმე თხრილი წაგვართვეს, რომელიც ჩვენ ბრძოლითვე დავიბრუნეთ და ტყვეთ წამოვიყვანეთ მიდიართა რაზმი 600 ჯარისკაცი ორი ექიმით და ორი ოფიცერით. ჩვენ დავკარგეთ ორი ოფიცერი და 100 ჯარისკაცი. ბრძოლის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ აგრეთვე ბევრი სამხედრო მასალა.

შავ ზღვაზე.

ჩვენმა წყალ ქვეშამ ბოსფორთან ოსმალთა ერთი დიდი გემი და ერთი ნავი ჩასძირა.

კავკასიის ასპარეზი.

ერზინ-ჯანის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა უკუაგდეს მტრის იერიშები და დასავლეთით წინ მიდიან.

დიარბექირის მიმართულებით ჩვენ უკუვაგდეთ მოიერიშე ოსმალთა მოწინავე რაზმები.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილეთ მე-4-ე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ირლანდიის აჯანყებაზე.

„რუსკია ვედომოსტი“ სწერს: ირლანდია დაწყნარებულია, ვინაიდან „სინფეინერები“, რომლებიც აჯანყებას მეთაურობენ. წმინდა საქალაქო ორგანიზაციას წარმოადგენენ და მასთან უმცირესობაშიაც რჩებიან. მთავრობამ არ შეეძლო რომ წინდაწინვე ზომები მიეღო, რათა სინფეინერებს იარაღი არ შეეძინათ: რაკი მთავრობამ ულსტერის (ჰომრულის მოწინააღმდეგეებს) მემამულეებს შეიარაღების ნება მისცა, მას არ ჰქონდა საბუთი, რომ სინფეინერებისათვის იარაღის შეძენა აეკრძალა.

„რუსკია ვედომოსტი“ იმედს გამოსთქვამს, რომ „საქმე“ არ გართულდება და საშიშ სახეს არ მიიღებს.

პარიზის პრესა კი მოსკოვის გაზეთების გადმოცემით ირლანდიის აჯანყებაზე სულ წინააღმდეგ აზრს გამოსთქვამს. ამ პრესის აზრით მდგომარეობა ირლანდიაში სერიოზულია. მაგრამ აჯანყებას მშვიდობიანათ დასრულებას პარიზლებიც იმედოვნებენ; და ამ იმედის საბუთად ინგლისელებს პოლიტიკურ ამცნებას და ლიბერალურ პოლიტიკის წარმოებას ასახელებენ.

რა მიზანი ჰქონდა გერმანელების სხდომას?

როგორც ამას წინად დეპეშა გვაუწყებ და გერმანელებმა ქ. ლოუსტოფის წინ ზღვის სანაპიროებზე მოულოდნელი თავდასხმა მოაწყო აი. ამ ამბის გამო გაზეთ „უტრო როსია“-ს სამხედრო მიმხილველი ჰფიქრობს, რომ ლოუსტოფის ოპერაციას ირლანდიის აჯანყებასთან კავშირი არა აქვს. ეს ოპერაცია მიმომხილველის აზრით იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ხმა გავრცელდა გერმანელები რიგის წინააღმდეგ შეტევისთვის ემზადებიან, როგორც ხმელეთით ისე ზღვითა და აი, ეს ხმა რომ გაებათილებიათ და რუსების ყურადღება დასავლეთისაკენ გაეტყუებიათ. ამისთვის გერმანელებმა ლოუსტოფზე თავდასხმა მოახდინესო. ამასთან მათ მიზნად ჰქონდათ გამოერკვიათ, თუ სად და როგორ ირაზმება ინგლისის ფლოტი მათ საწინააღმდეგოთ: ხომ არ ჰფიქრობს იგი რუსებს მიეშველოს გასაჭირის დროს რიგის ყურეშიო.

კონფლიქტი ამერიკასა და გერმანიას შორის.

როგორც ვაშინგტონიდან იტყობინებიან ამერიკის ნოტის საპასუხოდ გერმანია დიდ დათმობას აპირებს და ამ ნაირად უნდა კონფლიქტს ბოლო მოუღოს. ბერლინში მოელიან, რომ გერმანია პასუხს ამ კვირაში გასცემს ამერიკას.

რუმინია და გერმანიის მოკავშირეები.

ბუქარესტიდან დეპეშით იტყობინებიან გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულობას დადების შემდეგ რუმინიამ ოსმალეთთანაც მოლაპარაკება გამართა; ამბობენ, რომ ასეთივე მოლაპარაკება გაიმართება აგრეთვე ავსტრიისა და რუმინიის შორის.

მდგომარეობა ვერდენთან.

თუ „ბირჟევია ვედომოსტის“ კოპენჰაგენელ კორესპონდენტს დაუჯერებთ ამ ბოლო ხანებში გერმანიის მთავარ შტაბს ვერდენთან ბრძოლის შესახებ გადმოცემულ ცნობაში სხვა კილო დაეტყო. აშკარავდება იმის ნიშნები, რომ შტაბს-უნდა გერმანიის საზოგადოებრივი აზრი ვერდენის ოპერაციის ლიკვიდაციისათვის წინასწარ მოამზადოს. კორესპონდენტის აზრით ეტყობათ, რომ გერმანელები ვერდენთან ბრძოლაზე ხელს აიღებენ.

უთანხმოება გერმანიაში.

„პოლიტიკენის“ გადმოცემით ვილჰელმი ყოველღონეს ხმარობს, რომ ამერიკასთან ჩამოვარდნილი კონფლიქტი დათმობით ჩააქროს; მაგრამ ამას გერმანიის სამხედრო წრეები არ ეთანხმებიან და არ უნდათ, რომ გერმანია წყალქვეშ ბრძოლის საქმეში ხელფეხშებორკილი მოქმედებდეს. მცხოვრებთა უმრავლესობა კი ვილჰელმის მხარეზეა.

ახალი ჭორი.

„ვეჩერნეე ვრემია“-ს ლონდონიდან დეპეშით აუწყებენ: ოსმალეთში ხმა გავრცელდა, რომ ცნობილი გოლც-ფაშა ოსმალეთის აფიცერმა მოჰკლაო.

გერმანია და ირლანდიის აჯანყება.

როგორც ინგლისის საადმირალო მმართველობა აცხადებს 8 აპრილს ირლანდიის ნაპირებთან იარაღით დატვირთული გერმანიის კრეისერი ჩაძირეს. კრეისერს განზრახვა ჰქონდა წყალქვეშა მავალ ნავის დახმარებით ირლანდიაში იარაღი გადაეტანა: ამ მიზნით მას სავაჭრო ბაირადი ჰქონდა აღმართული, რომ ინგლისის მოდარაჯე გემები შეცდომაში შეეყვანა. მაგრამ ინგლისის მეზღვაურებმა ხერხი გაუგეს და ნაპირებთან მიახლოვებისას მიუხვდენ და გაშლილ ზღვაში ჩასძირეს. ეკიპაჟი დაატყვევეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პირველი და უკანასკნელი ცდა არ იქნება და გერმანიის მხრით აქედან ცხადია, რომ ირლანდიისთვის იარაღი გერმანიას მიუწოდებია.

42 სანტიმეტრის ზარბაზანი.

ერთი გერმანული გაზეთი **42** სანტიმეტრის ანუ 420 მილიმეტრის ზარბაზანს, რომლის გამოგონებამ და ომში გამოყენებამ კრუპის ცნობილ ფირმასაც მსოფლიოს სახელი მიანიჭა და გერმანიასაც საშუალება მისცა, რომ უძლეველი ციხესიმაგრეები მტვრად აქციოს, აი, ამ ზარბაზანს აგვიწერს შემდეგ ნაირათ: ზარბაზანი სულ თავის მოწყობილობით თით-

მსოფლიო ომი.

(დღიური).

მდგომარეობა რამდენიმეთ შეიცვალა: გერმანელებმა ვერდენთან ბრძოლა ოდნავ გაანელეს, სამაგიეროთ რუსეთის ასპარეზზე ერთი მხრივ და ბელგიის ფრონტზე ინგლისელების წინააღმდეგ მეორე მხრით მკაცრი შეტევა დაიწყეს; გერმანიის მაგალითით გამხნევებულმა ავსტრიელებმაც იერიშები მოიტანეს

კავკასიისა და ოსმალეთის ფრონტზე მკაცრი შეტაკება მხოლოდ ორ ადგილას მოხდა: ერზინჯანის მიმართულებით რუსეთის ჯარმა ოსმალნი შეავიწროვა, ხოლო დიარბექირის მხრიდან დაწყებული ოსმალთა შემოტევა რუსეთის ჯარმა შეაჩერა და მტერი უკუ აქცია.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ასპარეზზე 15 აპრილიდან დიდი ბრძოლები (და შეიძლება გადამწყვეტიც) უკვე დაიწყო: ბრძოლა ისევ იმ მთავარ პუნქტებში განაახლდა, რომელიც მოპირდაპირეებმა წარსულ თვეებში აღნიშნეს. გერმანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს შემდეგ რაიონებს: რიგისას, იაკობშტადტისას, დვინსკისას, ტბა ნაროჩისას და სმორგონისას. ყველგან ამ ადგილებში საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს: ბევრგან გრიგალისებური ცეცხლი დაანთეს და ზოგან იერიშითაც წამოვიდენ; მაგალითად, ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც ისინი ბრძოლის ხაზის გასწორებას წინათაც სცდილობდენ, საარტილერიო ცეცხლით ნიადაგის მომზადების შემდეგ განთიადზე იერიშით წამოვიდენ და რუსეთის ჯარის სანგრები დაიკავეს. სამაგიეროთ რუსეთის ჯარმა ავსტრიელებთან ბრძოლაში გაიმარჯვა. ავსტრიელნი იერიშით წამოვიდენ მდ. იკვაზე მდებარე მურავიცის ჩრდილოეთით და ერთი სოფელი დაიკავეს, მერე რუსეთის ჯარმა გააფთრებული კონტრ-იერიში მიიტანა მტერზე და კიდეც სძლია იგი: განდევნა ახლათ აღებულ სანგრებიდან და მრავალი მადიარი გაჟლიტა; ბევრი კიდევ ტყვეთ წამოიყვანა. რუსების მხრივ, როგორც შტაბის დეპეშა გვატყობინებს, ამ დიდ ბრძოლაში მხოლოდ 100 ჯარის კაცი და 4-მდე ოფიცერი დაიღუპა.

საფრანგეთ-ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე საყურადღებო ისაა, რომ გერმანელები ვერდენთან ბრძოლასაც განაგრძობენ, თუმცა არა წინანდებური ენერგიით—და იმავე დროს საფრანგეთისა და ბელგიის ფრონტზე მრავალ ალაგს ინგლისელების წინააღმდეგ, ბრძოლაში დიდ ენერგიას იჩენენ. იპრთან მაგალითად რამდენიმეთ წინ წავიდეს კიდეც. ინგლისის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით ბურუსით არის მოცული: კრიზისი დასრულებული არაა. ირლანდიის აჯანყება, თუმცა ოფიციალური ცნობით, შეწყდა—შენელდა, მაგრამ დანამდვილებით ამის თქმა ჯერ ჯერობით კიდევ არ შეიძლება, ვინაიდან ინგლისის პარლამენტი ამ საკითხს კიდევ არ შეხებია.

ქმის 6 ათას ფუთს იწონის, ხოლო მისი ყუმბარა 22 ფუთს სიმძიმისაა (სისწორით 885 გირვ.) ზარბაზანი 172 სხვადასხვა ნაწილისგან შესდგება და მათი ადგილიდან ადგილზე გადასატანად 12 ვაგონია საჭირო, ამ ზარბაზნის ერთხელ გატენა 46 მანეთი ჯდება; და ამ ადგილის ქვეშ სადაც ამ ზარბაზანს დადგამენ, ნაღმია გაკეთებული, რომ შემთხვევის დროს აფეთქება შესაძლებელი გახდეს. ოფიცერს რომელიც ამ ზარბაზანს განაგებს, და რომელიც ხელობით ინჟინერიც არის, ფიცი აქვს დადებული, რომ, თუ ვინიცობა მტერი მიუახლოვდა ზარბაზანს და ის ხელში უვარდება მას, უფრო აფეთქებს მას და არას გზით კი არ დაუთმობს.

ქართული პრესა.

„საქართველო“ კვლავ უბრუნდება ქართული ეკლესიის საკითხს და შემდეგს სწერს:

არ შეიძლება ერი გულგრილი მაყურებელი იყოს თავის მრავალტანჯულ ეკლესიის ბედისადმი. ეს არსად არ მომხდარა, არ გაგონილა მხოლოდ ერთგვარი უძლურებით. ქართველის გულისა და სულის დაკნინებით თუ აიხსნება ის მოვლენა, რომ ეკლესიის დანაწილება, დაქუცმაცება უფლებების აყრა, მასში ვერ იწვევს ვერც შესაფერს საქმეს, ვერც სიტყვას. ჩვენს ეკლესიიდან სოხუმის ეპარქიის ჩამოშორების საკითხი სამარცხვინო ფურცლად ჩაეკერება ჩვენს სახელოვან მატიანეში. ასეთს დროს, როდესაც მთელი მსოფლიო ერთგულ უფლების დროშის ქვეშ სისხლს ღვრის, ქართველ საზოგადოებას ვერ გაუბედია ხმის ამაღლება თავისი წმინდათა წმინდის საქომაგოდ, დასაცავად. სად არის ნეტავ ჩვენი მოწინავე წოდება თავის წარმომადგენლობით? ნუ თუ მათ ამ წმინდა განძეულობის დასაცავად, რომლისთვის მათს წინაპართ მრავალჯერ თავიც კი გაუწირავსთ, ხმას ამოღებაც კი არ ეხერხებათ, სად არის ჩვენი საზოგადოების სხვა წრეები—მოქალაქენი, გლეხობა, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანებში ხშირად გამოხმაურებიან სადღაც სამყაროს მეორე კუთხეში მომხდარ უსამართლობას, ბოროტებას და ამის გამო პროტესტებიც კი გაუგზავნიათ სად არის პრესა, ეს სარკე ჩვენი ცხოვრებისა. რატომ არ აღბეჭდავენ ერის გულზე დაჩნეულ ტკივილებს. უპირველეს ყოვლისა რად სდუმს ის წოდება, რომელიც ემსახურება ოდესღაც ბრწყინვალე, დღეს კი ნანგრევებად ქცეულ ივერიის წმინდა ეკლესიას. სად არის სამღვდელოება? უმაღლესი სასულიერო მთავრობის წინაშე შუამდგომლობანი მათნი ნუ თუ მხოლოდ მათ ქონებრივ მდგომარეობას უნდა შეეხებოდეს დღეს, როდესაც საქართველოს ეკლესიის წმინდა სხეულს, ცოცხალი ნაწილის ჩამოკვეთას უპირებენ. ვერც ერთი წოდება, ვერც ერთი ჯგუფი ჩვენი ერისა ვერ იპოვის გასამართლებელ საბუთს, რომ უანდერძოს მომავალ შთამომავლობას ამ სარცხვინელთან ერთად, რომელსაც განიცდის ივერიის ეკლესია.

საყურადღებოა ვიცოდეთ რით აიხსნება ქართველი სამღვდელოების სიჩუმე მაშინ, როდესაც ქართული ეკლესიის მთლიანობა ირღვევა და ისედაც დაქუცმაცებულ მის სხეულს საღი ნაწილის ჩამოჭრას უპირობენ. საჭიროა ქართველმა სამღვდელოებამ თავისი შეცდომა გაასწოროს და ჯეროვანი შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე ქართული ეკლესიის მთლიანობის დასაცავად.

კერძო გამოსვლა ამა თუ იმ სასულიერო პირისა ამ საქმეში საკმარისი არაა, საჭიროა მთელმა ქართველმა სამღვდელოებამ ქართველ ერთან ერთად თავისი ხმა აღიმაღლოს, რომ სათანადო მთავრობამ ანგარიში გაუწიოს საერთო გამოძახილს.

ესევე გაზეთი ეხება ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას და, განმარტავს რა, თუ რა მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის მომავალ მეურნეთა ყრილობას და კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის აქციონერთა კრებას, რომელიც უნდა მოხდეს მაისში, სწერს:

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება მეტად მოუწესრიგებელი და მოუწყობელია. შემოჭრილი ახალ დროის მოვლენებთან ერთად თავსდება ადამის დროინდელი ნაშთები. ყოველ ეკონომიურ დარგში სწარმოებს მუშაობა თითქოს თვალ ახვეული შეუგნებელი შემთხვევა და არა გონიერი პატრონობს აქ, თვითოეული მოქმედობს თავისთვის, განკერძოებულად და შეთანხმებითი და შეკავშირების უპირატესობა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. ასე რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება შესდგება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, შემთხვევით შეგროვილ ნაწილებისაგან და მას არ აჯაჭვავს ერთი რამ იდეა, იდეა მაზან შეწონილი ეკონომიური ზრდა განვითარებისა.

ასეთს პირობებში იბადება სავაჭრო-სამრეწველო ბანკი. ეს მოვლენა ამტკიცებს, რომ ჩვენი ერის საერთო ეკონომიურ უნიათობას ბოლო ედება: საზოგადოების ერთი ნაწილი იგნებს ეკონომიური ორგანიზაციის, შეთანხმებული მოქმედების საჭიროებას. ახალი ბანკი იძულებული იქნება სათავეში ჩაუდგეს ჩვენი ერის ეკონომიურ აღორძინების საქმეს და კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის აქციონერთა ყრილობა, რომელიც მაისისთვის არის განზრახული. საქართველოს მომავალ ეკონომიური აღორძინების საძირკვლად უნდა ჩაითვალოს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

გუშინ დილით, საგანგებო მატარებლით ბათომს გაემგზავრა კავკასიის მეფის ნაცვალი მათი იმპერატორობითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

✦ დღეს, დილის 9 საათზე, სამხედრო სასაფლაოზე, სამხედრო პირების თანდასწრებით გადაიხდიან ომში დაღუპულ ჯარის კაცთა სულის მოსახსენებელ პანაშვიდს

✦ მომავალ 1916/17 სამოსწავლო წლის დამდეგს ქუთაისში მოხდება უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლების ინსპექტორისა და მასწავლებლის მეორე ყრილობა. ამ ჟამად სამოსწავლო დირექცია იმუშავებს ხსენებულ ყრილობაზე გასარჩევ საკითხების შესახებ.

✦ დღეს 19 აპრილს საღამოს შვიდ საათზედ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება. მსჯელობას იქონიებენ კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ და აირჩევენ საზოგადოების საბჭოს ახალ წევრებს.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ-დ დ. ო. ნიჟარაძეს, რომელიც ამჟამად თბილისშია ხვალ მოელიან ქუთაისს.

✦ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს დაარსონ მომხმარებელი საზ. შემდეგმა სოფლებმა ს. ოზურგეთში (ზუგ. მაზ. „დახმარება„ ს. წყალტუბოში (ქუთ. მაზ.) „მუშის ხელი, ს. გეგუთში (სენ. მას. „განთიადი„ ,ს. ბოლლებში (ოზურ მაზ.) “საშუალება ტ ს დმებანდრამში (სენ მაზ.) „დახმარება.“

✦ გუშინ ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი სასურსათო საქმის გამო გაემგზავრა თბილისს, მის მოვალეობას აასრულებს ქუთ ვიცე გუბერნატორი პოლკოვნიკი ვენცელი.

✦ გუშინ, ქუთაისის ყველა დაბალს და საშუალო სასწავლებლებში [illegible] ნახლდა.

✦ ქართ. შ. წ. [illegible] თურის განყოფილებამ [illegible] ძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნან ს. კალხში, (შორ. მაზ.) მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ბიქენტი ლომთათიძის სახელობაზე უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო ს. რგანის სამრეველო გამგის კონსტანტინე ცერცვაძის პასუხის მგებლობით.

✦ გუშინწინ, 17 აპრილს, ქალაქის თეატრში წარმოადგინეს „ქართველი ღ და'' დაკლებულ ფასებში. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და მოთამაშენი მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრები“-ს მორიგი ნომერი.

✦ როგორც ვიცით, განზრახული იყო შეწყვეტილიყო ყველა სოფლის სახალხო სკოლებში სწავლა პირველ მაისიდან, მაგრამ უკანასკნელ ცნობების მიხედვით, სწავლა უნდა შეწყდეს 1 ივანობისთვეს.

✦ ქალაქის გადამდებ სნეულებათა საავადმყოფოში ამჟამათ სულ სამი ავადმყოფია, ორი ანთებით და ერთი შ სახადით.

✦ კვირას არქიელის გორაზე შესდგა კოოპერაციის საზ. კრება. კრებაზე ამოირჩიეს ხუთი კაცი კომისიაში, რომლებმაც უნდა გამოარკვიონ თუ რა პირობებში გახსნის კოოპერატივი განყოფილებას.

✦ კვირას, 17 აპრილს, შავი ქვის მრეწველთა დარბაზში შესდგა სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც ამოირჩიეს თავის წარმომადგენლათ ერობის საკითხის გარჩევის დროს თბილისში დასასწრებლათ თ-დი სოლომონ მიქელაძე.

✦ კვირას, 17 აპრილს, ქუთ. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში პ. მოსიძის თავჯდომარეობით შესდგა საურთიერთო ნდობის დამხმარე საზოგადოების წევრთა კრება, რომელზეც აირჩიეს შემდეგი პირები გამგეობის თავჯდომარედ გიორგი სტ. იკოფაშვილი, ზედამხედველ კომიტეტის წევრებათ ილარიონ ბოლქვაძე კანდიდატათ ანტონ სტ. მეფისაშვილი გამგეობის წევრის კანდიდატად გიორგი ხაბურზანია და სარევიზიო კომისიის წევრებათ. ს. ნ. დათეშიძე ფილიპე მგალობლიშვილი და თ-დი თუმანიშვილი მის კანდიდატათ, ს. ეზიკოვი, ს. ფაჩულია, და ფ რეხვიაშვილი.

✦ ტყიბულის რაიონის ბოქაული ბიბიკოვი სამსახურს თავს ანებებს.

✦ როგორც გადმოგვცეს, სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებისათვის დასარიგებ-

სომხეთი საქართველოში

(სომხის სამღვდელოებისა და დაშნაკელთა ოცნება).

(დასასრული იხ. სამშობლო № 334)

III.

ასეთი უკულმართობა გადაგვარებისა, ასეთი დაკარგვა ქართველის ერისა სომხის კათოლიკეთა ხუცებისაგან კი არ გავრცელდა, არამედ მათგან გამოზრდილ ქართველ გვარის კათოლიკეთა შვილებთაგან, რომელნიც უფრო მეტ ფანატიკოსობას იჩენდენ ამ გადაგვარების საქმეში, ვიდრე ნამდვილ სომხის გვარის ხუცები. ქართველების დასაღუპათ, თვით ქართველ გვარის მღვდლებივე გლეჯდენ ნარ-ეკალს და ამ უკანასკნელთ შესძლეს ის, რის შეძლებაც ვერ მოახერხეს სომხის გვარის მღვდლებმა. ხომ მოგეხსენებათ ისიც, რომ როცა ქართველი სჯულს იცვლის, მერე იგი ხდება თავის სჯულის მონათესავისა და მისი სჯულის სასტიკი მტერი და მოწინააღმდეგე. ამის მაგალითს ნათლათ გვიჩვენებს ქართველ მაჰმადიანთა სასულიერო წოდება;—ქრისტიან ქართველებში კიდევ დიმიტრი და ევთიმე. ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ საქართველოში სომხეთის აღორძინება სურთო. დიაღ, ეს სწორეა, არა თუ აღორძინება სურთ, არამედ უკვე აღორძინებულია, რასაც შემდეგი მაგალითებიდან დავინახავთ. საქართველოში სომხეთი აღადგინეს თვით ქართველებმა, გადაგვარებულ ქართველთა მღვდლებმა, რომელნიც მრავლად იყვნენ არა მარტო XVII და XVIII საუკ., არამედ თვით ჩვენს დროსაც კი არიან ასეთი პირები. ზოგიერთი მათგანი თვით მართლმადიდებელ ეკლესიის ასპარეზეც მსახურებენ და ქართველთა გალაშქრებას ენერგიულათ მისდევენ.

გადაგვარებულ ქართველ კათოლიკეთა მღვდლებმა ქართული ენა ქართველ კათოლიკებს დაავიწყეს მთელს არტაანის (არდაგანი) ოლქში, ართვინის ოლქში, შავშეთს, კლარჯეთს, იმერხევს, ლაზისტანს, ჩხალის ხეობას და ბევრ სხვა ადგილებშიც. ასეთ გადაგვარებულთა რიცხვი ასი ათასობითა და არა ასობით დაითვლება. მე დამივლია ამათში, მინახავს იგინი, მილაპარაკნია მათში სომხურ ენაზე. საუბრის დროს მათ თავიანთი ვინაობა კი არ დაუმალავთ, მაგრამ მასთანვე განუცხადებიათ დიდი სიმტკიცე სომხობაზე,—სომხური ენის სიყვარული, სომხეთის აღდგენის ნატვრა, თუნდაც ამ აღდგენისათვის საქართველო კიდეც მოსპობილიყო სრულიად. ასეთ გადაგვარებულ ქართველებს ცხადათ ეტყობათ ქართველების მტრობა, საქართველოს სიძულვარე ასეთი გადაგვარებული ქართველებით სავსეა ზემოხსენებული კუთხეები და იგინი ისეთი მტრები არიან ქართული ენისა და საქართველოსი, რომ ასეთი მტრობა თვით ნამდვილ სომხებშიც კი არა სჩანს. უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს მთელი სამცხე—საათაბაგოსაც ქართველი კათოლიკები ქართველობიდამ გასული არიან, მათ არა თუ მარტო თავისი თავი მიაჩნიათ სომხათ და სომხის კათოლიკედ, არამედ თვით თავიანთ საცხოვრებელ სამცხე—საათაბაგოს გორკი სომხეთად სთვლიან და არ ადგილებს თვით მწერლობაშიაც კი სომხეთად აღიარებენ.

ასეთი გადაგვარებული მღვდელნი მხითარისტებთაგან ქართველებს ჰყავდათ ძველად და ჰყავსთ დღესაც, ამის მაგალითია მხითარისტი ქართველი მღვდელი ამაზასპ სათარიანი და გურული დიონოსე კალატოზიანი მღ. ამაზასპ სათარიანმა თავისი გადაგვარება ბეჭდვითაც კი განაცხადა და მოურიდებლათ საქართველო სომხეთად აღიარა, აი ამის ცნობაც:

ამაზასპ სათარიანმა, გადაგვარებულმა ქართველმა, მხითარისტების აკადემიაში სწავლა დაასრულა 1880 წ. სწავლის დამთავრების დროს მან სომხურს ენაზე დასტამბა მოკლე სახელმძღვანელო „მინერალოგიისა“. ერთ ალაგას ამ წიგნში იგი ასე სწერს:—„რუსეთის სასომხეთის ნაწილს ახპანძას (ახპანძა) და აბასტუმანს (აბასთუმანი) გამოდის მინერალური წყლები“. ამას სწერს ქართველი კაცის შთამომავალი და არა სომეხი. რასაც თვით ქართველები სჩადიან ქართველთა წინააღმდეგ, ამას სომხები ადვილად ვერ ბედვენ. ამისთვის ჩვენ ქართველებს უნდა დავემდუროთ და არა სომხებს

გადაგვარებულ ქართველებს ხელიდამ გამორჩათ მხოლოდ მესხეთი და ჯავახეთი, სადაც მცხოვრებ ქართველ კათოლიკებს ველარა მოუხერხეს რა, თუმცა ეკლესიებში სახმარათ სომხური ენა დაუმკვიდრეს და ამის სინამდვილეც აწამებს მათ. ხოლო ხალხში სახმარებლად კი ვერ მოახერხეს და ვერ შესძლეს მისი გავრცელება. ამას აქვს თავის ისტორიული მიზეზები

XVII საუკუნის შემდეგ, მართალია, ქართველთა შვილების უმრავლესმა ნაწილმა ვენეციას იწყო სწავლის მისაღებათ წასვლა სადაც იგინი გადაგვარების გზაზე დგებოდენ, მაგრამ ქართველთა შორის იყვნენ ისეთი კათოლიკენიც, რომელთა შვილებიც ვენეციას კი არა, პირდაპირ რომში მიდიოდენ და იქ პაპის კოლეგიაში ღებულობდენ სწავლას ევროპიულს ენებზე, რის წყალობითაც იგინი ისევ ქართველებადვე რჩებოდენ ასეთია, მაგალითად, მღვდელი პატრი ტუკლაანთ გორელი დავითი, რომელმაც პაპის კოლეგია დიდის ქებითა და მღვთის მეტყველობის დოქტორობის ხარისხით დაასრულა 1729 წ. მან ხმამაღლა განაცხადა თავის ნაციონალური უკმაყოფილება და იქვე რომში 1731 წ. ქართულს ენაზე, ქართველ კათოლიკეთათვის წიგნი „საქრისტიანო—მოძღვრება“ დასტამბა, რაც პირდაპირი საწინააღმდეგო პროტესტი იყო ქართველების გადაგვარების, ანუ გასომხების შესახებ. ამ დღიდამ იწყება ქართველ კათოლიკეთა გათვითცნობიერება და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გადაგვარებულმა ქართველმა ღვდლებმა მესხეთ—ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა გადაგვარება ველარ მოასწრეს და ვერც შესძლეს, რომ ეს კუთხეები სომხეთად გამოეცხადებინათ, თუმცა ამაზასპ სათარიანმა მაინც სცადა თავისი ნებით ამის განცხადება

ერთს გადაგვარებულ ქართველ მღვდელს სომხურს ენაზე ვენეტიკს სომხეთის რუკა დაუბეჭდია და იქ მარტო მესხეთ—ჯავახეთი კი არა, მთელი საქართველო სომხეთში მოუქცევია და ასე მოუხსენებია: ახალციხე და ახალქალაქი რომ 1829 წლებს შემდეგ კიდევ დარჩენილიყო ოსმალთა ხელში, მაშინ აქაურს ქართველობაშიც ისევე ამოვარდებოდა ქართული ენა და საქართველოს ხსენება, როგორც ეს მოხდა ართვინს, არდანუჯს, შავშეთს, არტაანს, ლაზისტანს და სხვაგანაცაო.

მოკლედ მოგახსენებთ ორიოდე ცნობას ზემოთ დასახელებულ გადაგვარებულ სათარიანისა და კალატოზიანის გვაროვნების შესახებ.

ამაზასპ სათარიანი ქართველი გვარისაა: მისი წინაპარნი სცხოვრობდენ მაჭახელ და სხვა ორ სოფელში. ორივე სოფლ მცხოვრებნი 100 მოსახლე იქნებოდა. 1630 წლების, მაჭახლის ისლამთან დაკავშირების დროს, ზოგმა არ ისურვა ისლამის მიღება და არჩიეს სხვაგან გადასახლება. შემდეგ ზოგი ამათგანი კათოლიკობას დაუკავშირდა, ზოგი კი—გრიგორიანობას. დღეს ვინც კი ამ გვარიდან კ თოლიკე, ან გრიგორიანი არის სუ ქართველთა შთამომავალნი არიან. ამათი შთამომავალია ამაზასპ სათარიანი, რომელიც საქართველოს სომხეთად აღიადებს. მისმა დედამ სომხური ენა არ იცოდა და ქართულ წიგნებს კითხულობდა. ამათი ძმაც თავს ქართველ კათოლიკეთ აღიარებდა, თვით ეს მოძღვარი ასეთი გადაგვარებული პირი იყო.

დიონოსე კალატოზიანიც გურულ ქუთაისში დაბადებულ-გაზრდილი, მხითარისტების სკოლაში ნასწავლი. ამ საც ასეთისავე მცნების მოძღვრად აღიარებენ, ამასვე ლაპარაკობენ თვით ქართვე კათოლიკებშიაც.

დღეს, თფილისში და მთლად ქართვე კათოლიკებში, სომხური ენის სასარგებლოთ ეს მღვდელნი მეცადინეობენ ამისთვის ისინი ალარაფერს ზოგავე თვით მახვილის ხმარებასაც კი საჭიროებენ ქართველთა დასაღუპათ და მოსასპობათ. აი, ამის მაგალითიც:

თფილისში, 1914 წ. გადაიცვალა ე თი ქართველი კათოლიკე. ამ პირს დარჩა მარტო მეუღლე. შვილი არ ჰყავდ გადაცვალებულმა თავისი მამულები ძმ წულებს დაუტოვა, ვიდრე მეუღლე იქნ ბოდა ცოცხალი მის მფლობელობაში ი ნება, ხოლო მის სიკვდილის შემდეგ მამულები ძმის წულზე უნდა გადავიდე-

ელ გადადებული აბრეშუმის თესლი ე დაურიგებიათ, და აუწყებენ ყველას ტეურილად ნუღარ მიმართავენ ქუ- ის საბრეშუმო სადგურსა და აგრო ბ-ნ. ფალავანდიშვილს

✦ რადგანაც სოფლებიდან მრავალი ხელი გაწვეულია და საჭირო შეიქნა ის სკოლებიდან მოწაფეები თვისს ს დაეხმარონ თავის მშობლებს, ამი- უმაღლესი მთავრობის განკარგულე- ი სოფელში, სადაც ამას საზოგა- ება ისურვებს, მოწაფეებს ადრე დაი- ვენ საზაფხულოდ.

✦ კვირას, 17 აპრილს, დ. ძირულაში ი ამბით აკურთხეს ვგ. ნანაშვილის ების წიგნსაცავ სამკითხველო. კურთ- ზე მიწვეული იყო გაზეთ „სამშობ- ს" რედაქტორი ბ-ნი ია ეკალაძე. კურთხევას დიდძალი საზოგადოება და- ო გაზ. „სამშობლოს" სახელით ბ-ნმა ეკალაძემ მიულოცა საზ. ასეთი კულ- ტურული დაწესებ. დაარსება, გაზ. „საქარ- ლოს" სახელით კი ბ-ნმა აკ. ნიშნია- ძემ. წარმოსთქვეს სიტყვები ლადო მა- რიანმა, ზალ. ჩიხლაძემ და აგრეთვე სამკითხველოს დამაარსებლებმა.

✦ სამოსწავლო განათლების მინისტრმა ეშით აცნობა ყველა სამოსწავლო ოლ- მზრუნველთ, რომ გაანთავისუფლონ მოზიებიდან ის მერვე კლასის მოწა- ები, რომლებიც მაისში შედიან სამხე- სასწავლებლებში.

✦ როგორც გავიგეთ, მაისის ჯამაგი- ან ერთად სახალხო მასწავლებლებს ეთ დამატებითი ჯამაგირი იანვრიდან იდის.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა აპრილს ოქმი შეუდგინა „ყასაბს ს. კ- ბაძეს ხორცის ზედმეტ ფასში გაყიდ- ვის.

✦ ქალაქის სოვჯახო კომისიამ შაბათს, აპრილს, შეიმუშავა შემდეგი დრო- ნიხრი პურზე 1 ხარისხის ფუნის ი 24 კაპ. II 23, III 21 კაპ. თო- ს პური-კი კაპიკით მეტი,

✦ ამჟამათ ქუთაისში მიყოფება ცნო- ი ქართველი კომპოზიტორი შაქრო იაშვილი წევრი და ხელმძღვანელი ლ. ქართულ ფილარმონიულ საზოგად. ი ფალიაშვილი თბილისის ფილარმო- ლ საზოგადოების გამგეობის დავალე- თ ჩამოვიდა ქუთაისში, სადაც ხსენე- ლი საზოგადოება აპირებს თავის გან- ილების გახსნას როგორც დანამდვი- თ გავიგეთ ამ კეთილ განზრახვას ისის საზოგადოება სიხარულით შე- ება. ბატონ შ. ფალიაშვილს მიუ- ია ფილარმონიულ საზოგადოებაში ბილი ქართულ საერო საეკლესიო ბათა მცოდნენი თ. მელქისედ- ძე და — აფხაზურ—მეგრულისა— ე ლოლუა,

✦ ქალაქის მეორე უმაღლეს პირველ დაწყებით საწავლებლის სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა შესწყვიტონ სწავლა 20 აპრილს და დაიწყონ გამოცდები. ეს დადგენილება უნდა გაეგზავნოს სახალხო სკოლების დირექციას დასამტკიცებლათ.

✦ ქ ქუთაისის მცხოვრებმა ბოლქვაძემ აღძრა შუამდგომლობა ქუთაისის ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ მას ნება მიეცეს ხუთი ვაგონი ცარცის ჩამოსატანათ ქუთაისში სადგურ ბელაგორიდან.

✦ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მე 6 კლასში წერითი გამოცდები დაიწყება 24 აპრილიდან.

მინისტრთა საბჭოში.

პ. დ. ს.

16 აპრილს მინისტრთა საბჭომ გოფმეისტერ ბტიურმერის თავმჯდომარეობით 1) კანონ პროექტირათ 3,725,000 მან. იქნას გადადებული ბრძოლის პირის ახლო მყოფ დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად. 2) აზიაში (ოსმალეთის) ახლად შეძენილ ადგილებში ხაზინა უნდა დაეხმაროს მცხოვრებთ საკვების და სათესლეს შესაძენად. 3) იმ ადგილების გუბერნატორებს, სადაც ერობა არ არსებობს, უნდა მიეცეს სათანადო თანხა ომში გაწვეულ ოჯახთა დასახმარებლად სასოფლო მეურნეობისთვის საჭირო მასალების მოსაწოდებლათ.

ქართული ფილარმონიული საზოგადოება

ქ. ქუთაისში.

ქალაქი ქუთაისი საქართველოს მეორე კულტურული ცენტრია და დღეისად ჭეშმარიტი ქართული ქალაქია თავისი ელფერით, ეროვნული შემადგენლობით და კულტურ დაწესებულებებით, რომელნიც ხელს უწყობენ საქართველოს სულიერისა და მატერიალური კულტურის აყვავებას.

თითქმის ყველა ქართული კულტურული და საგანმანათლებლო საზოგადოებანი, რაც კი მოგვეპოვება ჩვენ, ყველას განყოფილებანი არსებობენ, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ნორჩი ქართული ფილარმონიული საზოგადოება.

ქართული პოეზია, რომელიც XII საუკუნეში ავიდა უმაღლეს საფეხურზე გენიალური შოთა რუსთაველის წყალობით, სხვა ხელოვნების დარგნი კი მოიკოჭლებენ. ახლა ეტყობათ აყვავება მხატვრობას, ხუროთ მოძღვრებას და მუსიკას..

ქართველის ბუნება ხომ გამოიხატება მღერა-ცეკვაში... ჩვენს მუსიკას შეუძლიან საპატიო ადგილი დაიჭიროს მსოფლიო მუსიკაში, თავისი ორიგინალობით.

ბბ. შაქრო ფალიაშვილის, კოტე ფოცხვერაშვილის, დ. არაყიშვილისა და სხვათა წყალობით უკვე გაიკაფეს გზა ქართულის მუსიკის ძიებისა და შეთანხმებისა ევროპიულ მუსიკასთან და თანაც დაცვა თავისი ელფერისა.

აუცილებლად საჭიროა, რომ დაარსდეს ქუთაისში ფილარმონიული საზოგადოების განყოფილება და პირველი მისი მიზანი უნდა იყოს სკოლის დაარსება და აგრეთვე ეროვნული ჰანგების შეკრება-გამოცემა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, სხვათა შორის, გურულ ჰანგებს, სასულიერო და საეროვნო, ამ მართლაც და „შედევრს" ქართულის კილოსას დასავლეთ საქართველოისას.

ცქვიტ მალხაზსა და ფრიად ნიჭიერ გურულებს შესანიშნავად აქვთ განვითარებული მუსიკალური ალლო, და ჯერჯერობით წმინდათ აქვთ დაცული სიმღერა-გალობა, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ბოლოხანში იქაც იკიდებს ფეხს „ცივილიზაციის" ნაყოფი ბოშური ჰანგებისა.

ბუნებით ულამაზესათ დაჯილდოვებულს ქუთაისს დროა მიემატოს ქართული ფილარმონიული საზოგადოებაც, რომელიც მშვენიერ ბუნებასთან ერთად, აამეტყველებს ქართულ ჰანგს სევდისა და მწუხარებისას, დაობლებული ვით „სული ობოლი" ქართველი ერისას.

დროა, საქმეს შევუდგეთ მემუსიკენი და მოყვარულნი ხელოვნებისა, რომ სიტყვა ვაქციოთ საქმეთ, საუკუნოებით ხალხის გულში ჩამარხული ჭირ ვარამი—ლხინი მოვკრიფოთ, გავალამაზოთ და გამოვსცეთ ჩვენთვის და მომავალი თაობისათვის.*)

შ. ლ—ძე.

---

*) ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ფილარმონიული საზოგადოების განყოფილების დაარსებას ქუთაისში და მოვუწოდებთ ქართველ საზოგადოებას გულმხურვალე თანაგრძნობა აღმოუჩინოს მას.

რედ.

სამხედრო სამრეწველო კომიტეტი.

როგორც ვიცით, სამხედრო სამრეწველო კომიტეტებში მთავრობამ, სხვათა შორის, მუშათა წარმომადგენლებსაც დაუთმო ადგილი.

რა თქმა უნდა, ეს იმ მოსაზრებით, რომ ხსენებული წარმომადგენლები თანაგრძნობითი მონაწილეობას მიიღებდენ სამხედრო მასალის დამზადების საქმეში და მთავრობას დახმარებას გაუწევდენ.

მუშათა არჩევანი სამხ. სამრ. კომიტეტში წარმომადგენლის გასაგზავნათ რუსეთში უკვე დამთავრდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მუშათა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო სამხედრო სამრეწველო კომიტეტში მონაწილეობის მიღებისა და შეიძლება ითქვას, რომ ეს წინააღმდეგობა გამოწვეული იყო უფრო იმ მოსაზრებით, რომ ის მთავრობა, რომელიც მუშებს სათანამშრომლოდ მოუწოდებდა, ამავე დროს მას ერთგვარ უნდობლობას უცხადებდა და ყოველივე მის მოქმედებას ჟანდარმერიის სათვალყუროდ ხდიდა

ამის დასასაბუთებლად გაიხსენეთ ამას წინად მუშათა წარმომადგენლის გვოზდევისა და პრემიერ შტიურმერის შორის მომხდარი საუბარი.

შტიურმერმა აშკარად განაცხადა მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მოუწოდებს მუშებს სათანამშრომლოდ, ნებას მაინც ვერ მისცემს თავისუფალი წინასწარი კრებები გამართონ პოლიციის დაუსწრებლადო.

რუსეთის მუშათა შორის ორი მიმდინარეობა იყო. ერთი წინააღმდეგი იყო სამხედრო სამრეწველო კომიტეტში მონაწილეობის მიღებისა და ამას სხვადასხვა მოსაზრებით ასაბუთებდენ, მეორე კი მონაწილეობის მიღებას ადასტურებდა.

მიუხედავად მუშათა შორის აზრის სხვადასხვაობისა რუსეთში მუშათა შორის მოხდა ერთგვარი დიფერენციაცია, სადაც მუშები დაიყვენ რამდენიმე ჯგუფად. უმცირესობამ მოისურვა სამხედრო სამრეწველო კომიტეტში თავის წარმომადგენლის გაგზავნა, ხოლო უმრავლესობა განზე დარჩა ასე დამთავრდა არჩევანი რუსეთში. ეხლა ჯერი მოდგა კავკასიაზე.

როგორც გაზეთ „თანამედროვე აზრის" კვირინდელ ნუმერში ვკითხულობთ, 19 აპრილს თბილისში ქალაქის თვითმართველობის შენობაში შეკრებილან მუშათა ამომრჩევლები კრებაზე მთავრობას, როგორც გაზეთი გვაცნობებს, არამც თუ პოლიცია გამოუგზავნია, კრებას დასწრებიან ჟანდარმებიც. ერთი სიტყვით, რომ ვსთქვათ, კრებას ყოვლად შევიწროებითი ხასიათი მიუღია. რასაკვირველია, ასეთ პირობებში მუშათა წარმომადგენლები თავისუფლად ვერაფერს იტყოდენ.

მუშებს კატეგორიულად უარი განუცხადებიათ სამხედრო სამრეწველო კომიტეტში წარმომადგენლის გაგზავნაზე, როგორც სჩანს, კავკასიის და კერძოთ ქართველ მუშათა შორის.

ამ საკითხებში არავითარი დიფერენციაცია არ მომხდარა და ერთხმათ უარ უყვიათ თავის წარმომადგენლის გაგზავნა სამხედრო სამრეწველო კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად.

ი. დ—ძე.

სასულიერების დღეს მიწვეული იყო ერ- ი ზემოხსენებულ მღვდელთაგანიც, რო- რც კათოლიკეთა მოძღვარი. ამ დროს, მღვდელმა გაიცნო გარდაცვალებულის ვილი, შემდეგ დაუახლოვდა და დაუწ- ი ქადაგება, რომ ჩვენ სომხები ვართო, ნი სჯულის ენაც სომხური ენაა. მან- ლოსანი მან ასე დაარწმუნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს მანდილოსა- სოფ. კოდას წავიდა თავისი მამულების ახავად, სადაც ეშმაკად, ეს გასომხებუ- ი ქართველი სულის მამაც თან გაჰყვა. ა დანატოვარი მამულები ნახეს, რა- კვირველია, გადაგვარებულმა მღვდელმა მენებით უყურა და მერე მანდილო- ს უთხრა შემდეგი:

— ახ, აფსუსი არ არის, რომ ასეთი ვიერი მამულები ჩვენს მტრებს უნდა სთო.

რებად, გულისხმობდა გარდაცვალე- ლის წმის-წულებს, ვინაიდან ესენი თ ქართველობენ და, მართლაც, ქარ- ლი აზნაურიშვილები არიან, თითქ XII საუკუნის შემდეგიდან. საქმე ც ამ მტრობით არ გათავდა. ეს გა- გვარებული ქართველი მოძღვარი იმავ ის, იქვე მოურავს მიუბრუნდა და ი დარიგება მისცა:

— ძმაო გორგი, აი, რას გეტყვი მე : ვიდრე ქალბატონი ცოცხალი არის, აქ ხმას არავინ გაგცემს და როცა ეს დება, მაშინ კი, უეჭველია, ქართვე- სგან შენი საქმე სხვანაირად იქნებაო ომ, ძმაო, შენ იმ დროისთვის დანა ნჯალი გალესე, ე ი. შენი მამულის რონის ძმის-წულები დახოცე, მხო- დ მიტომ, რომ შენი უფროსი სომე- ყო და მისი ძმის წულები კი, ქარ- ლები არიანო. ჩვენ აქ მათ სახელსა ვარს არ ვასახელებთ.

ცხადია, ამ სულის მამებს ქართველთა საწინააღმდეგოთ და საქართველოს სამტროდ ბევრი ასეთი მარგალიტი ქადაგება ექნებათ გაწეული მრევლში და არა მარტო მრევლში, თვით ქართველ გვარის ქართველ კათოლიკებშიაც. ეს ჯადოსნები ავრცელებენ ისეთ მტრობას რასაც თვით სომხის ნაციონალისტებიც კი მორიდებით მისდევენ. შეიძლება მათ მისცეს ამათ ამის უფლება და ნება, რომ ქართველთ და სომეხთ შორის მახვილის ხმარება ავრცელონ.

ამიტომაც ქართველებს დიდი სიფთხილე მართებსთ თავიანთი თავის, ჩვენ უნდა ვეცადნეთ ქართველ გრიგორიანებში განვამტკიცოთ ის აზრი, რომ იგინი არიან მხოლოდ სჯულით სომეხნი და გვაროვნობით, ენით და სხვა ჩვეულებებით—ქართველნი იმედია, რომ ამ ნიადაგზე ნელ-ნელა მეცადინეობა თავისას გაიტანს და ქართველი გრიგორიანობშიც მოეფინება ის მცნება, რომ იგინი არიან ტომით ქართველები და მხოლოდ სჯულით გრიგორიანები-სომეხნი თორემ ამათაც, უეჭველია, ქართველობის გამო, იგივე ბედი და გადაგვარება მოელით, როგორც ქართველ კათოლიკებს მოევლინათ ზემოდ დასახელებულ საქართველოს კუთხეებში.

ამიტომ ქართველთა საყურადღებოთ დავსძენ შემდეგს:

ქართველები თუ ამ გარემოებას გულგრილად შეხვდებიან, მაშინ სომეხნი ქართველთა შორის თავის სჯულს ადვილათ გაავრცელებენ და საქმეს ისე ოსტატურათ მოაწყობენ, რომ მერე ქართველები თავისი სურვილითაც ისურვებენ გრიგორიანობასთან დაკავშირებას რაც დღემდი ქართველთა სოფლები დაუკავშირდენ ქართლსა და კახეთში, გრიგორიანობას, სომეხთა სასულიერო წოდების მხნე მეცადინეობით, დანარჩენი სოფლებიც დღეის შემდეგ დაუკავშირდებიან გრიგორიანობას და ამგვარათ ამ კუთხეებში ქართველთა რიცხვიც თან და თან მოისპობა.

მერე ამ გადასულ ქართველებს შეასწავლიან სომხურ ენას, მასთან გამოუცვლიან თვით ქართულ გვარსა და სახელებს და ბოლოს იმასაც დაარწმუნებენ, რომ იგინი ნამდვილ სომხის შთამომავალნი და ნამდვილი სომეხნი არიან, მათი ქვეყანაც სომხეთია. ეს კი, უეჭველია, ქართველ გვაროვნობას დიდ ზიანს მოუტანს.

ამის შემდეგ დაიწყებენ მტკიცებას სომხის ნაციონალისტები, რომ ქართლსა და კახეთში უმრავლესობა სომხები ცხოვრობენ და ეს კუთხეები ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო.

ვიმეორებთ, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც საქართველოს ქართველ გრიგორიანებში, სომხებმა უკვე დაიწყეს ამის პროპაგანდა; მაგალითად, სოფლებში ქართველ გლეხთა შვილებს ქართულს აღარ ასწავლიან, არამედ სომხურს ენას და ამ ენაზედვე ასწავლიან წერა-კითხვასაც. მასთან ბავშებს უნერგავენ იმასაც, რომ იგინი ტომით ქართველები კი არა, სომხები არიან და ამიტომ უნდა ცდილობდენ, რომ მათ სომხური ენა კარგათ შეისწავლონ და სახლში და გარედ სომხურ ენაზე ისაუბრონ.

რაკი ქართლსა და კახეთში მცხოვრებთა შორის უმეტესი ნაწილი ქართველის ერისა დაკავშირებული იქნება სომხის სჯულთან, რაკი მათ ენათაც ქართულის მაგიერ სომხური გახდება და როცა ქართველ გრიგორიანებს გამოუცვლიან თვით ძველს ქართულ გვარებსა და სახელებს, მის შემდეგ, ასეთ გადაგვარებულთა ქვეყანა რაღა იქნება? ამის პასუხი მკითხველისათვის მიგვინდვია დასასრულ ვიტყვი იმასაც, რომ ქართველ ერს დიდათ უნდა აფიქრებდეს ის გარემოება, რომ გრიგორიანობა არის გვარის მჭამელი, ანუ ნაციის გადამყლაპგადამშენებელი და ამიტომ მისთვის ძნელი არ იქნება, რომ მთელი ქართლ და კახეთი გადააგვაროს და ჩაყლაპოს. ამის მაგალითები ჩვენ უკვე ბევრი ვიცით და ქართველი საზოგადოება და პრესა თუ ამ გარემოებას ყურადღებას არ მიაპყრობს, მაშინ მათ ეს ამდენა ქართველი გრიგორიანობაც ისევე დაეკარგებათ, როგორც სხვადასხვა ადგილას დაიკარგა დიდძალი ქართველობა.

ჩვენგან ამას დიდი ყურადღება მით უფრო სჭირია, რადგანაც სომეხნი და სომხის კათოლიკენი ამაზე დიდათ მუშაობენ ქართველ გრიგორიანთა შვილების გადასაგვარებლად. მათ კუკიაში ჰყრიანთ და მიქელაანთ ხევის ახლოს, ნადიროვის მამულში, სემინარიის დიდი შენობაც კი ჩადგეს მანთაშოვის ფულით, რომელ სემინარიის საშუალებითაც ფიქრობენ, რომ ქართველ სომხის შვილებთა შორის სომხური ენა გაავრცელონ და დაცემული სომხეთის სიყვარული აღადგინონ, რაც თავის თავად ერთობ დიდი იარაღი იქნება რომ საქართველოს ადგილებზე სომხეთი აღორძინდეს. ყველაფერი ეს მოხდება ჩვენის დაუდევრობით და გულ-გრილობით და არა სომხების მტრობით. სომხობა მაინცა დამაიც აქ არაფერ შუაშია. საქმე ჩვენა და ჩვენი ზარმაცობა გახლავსთ.

ზ. ჭ.

„სამშობლოს“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა.

სახალხო მასწავლებელი.

ძვირად მოიძებნება ისეთი სიმპატიური თანამდებობა, როგორიც მასწავლებლობაა.

აბა, კარგად ჩაუკვირდეთ, გადავფურცლოთ მასწავლებელთა დღიური, გადავსინჯოთ მათი შრომის ნაყოფი, ჩავიხედოთ იმათ დაკოდილსა და გათელილ გულში, თვალი ვადევნოთ მათ მოღვაწეობას და თან ბავშების გათვითცნობიერებას და უთუოდ დავრწმუნდებით, რომ ეს „პატარა კაცებიც" ღირსნი არიან დიდი პატივისცემისა, დაფასებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისა..

ნუთუ საშინელ მომაკვდინებელ ცოდვად არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ თანამედროვე ცხოვრებაში, „როცა საშინელ ცეცხლის ალში გახვეული კაცობრიობა და სულს ღაფავს, სახალხო მასწავლებელი ისევ ძველ ქურქში უნდა იყოს მომწყვდეული?

თუ დღეს სხვა დარგის მოხელეთა მდგომარეობა ნივთიერად გაუმჯობესებას თხოულობს, მით უფრო საჭიროა სახალხო მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა და უმწეო მდგომარეობიდან გამოყვანა იმ სოფლის მუშაკისა, რომელსაც მუდამ ტანჯვა-ვაების მორევშია შეცურებული, მედგრად ებრძვის უსამართლობას და მზად არის შესწიროს თავისი „მე" საზოგადოების კეთილდღეობას წინმსვლელობასა და წარმატებას.

დიახ, სახალხო მასწავლებელი გახლავს დაუფასებელი მოღვაწე და მოკეთე ხალხისა, ის არის დამაარსებელი ყოველივე კულტურულ და სიმპატიურ დაწესებულებათა სოფლად და უეჭველია ხალხის მომავალი და აწმყოც სავსებით დამოკიდებულია მასზე.

თუ ეს ასეა, მაშ თანაგრძნობა, სიყვარული და დაფასება მან უნდა ეძიოს ხალხში; იმ საზოგადოებაში, იმ ერში, სადაც რწყავს ოფლით არე-მარეს, სადაც მისი სისხლნარევი ცრემლები უხვად იფრქვევა, ითესება.

ვინ განსაზღვრავს თუ რამდენი ღვაწლი, შრომა და ენერგია მოუძღვისთ ამ

„პატარა კაცებს", თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობაში? მაგრამ დღეს, ამ აუტანელ სიძვირის ხანაში, იგი კვლავინდებურად შეყურებს, საცოდავ 28 მან. და 1 აბაზს, თვალწინ უდგება შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვილით აწიოკებული ცოლშვილი და ლამის სასოწარკვეთილებას მისცეს თავი.

საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ უჩნგარო მუშაკთ და მათთან ერთად აღიმაღლოს ხმა მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე სათანადო მთავრობის წინაშე.

მასწავლებელთაგანი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

იტალიის ასპარეზი.

რომი. ტრენტინოსთან მოქმედება შესუსტდა. სუმანოსთან ძლიერი შეტაკება ხდებოდა. მონტიკოლოს ნაწილში ჩვენ უკუვაგდეთ მტრის იერიშები. ბასეინ-პლოტთან, მტერი საარტილერიო მომზადების შემდეგ შემოტევის გზას დაადგა, მაგრამ უკუვაგდეთ დანარჩენ ფრონტებზე თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა.

ინგლისის ასპარეზი.

143 დღის წინააღმდეგობის შემდეგ მესოპოტამიაში გენერალი ტაუნსენტი იძულებული შეიქნა მტრისთვის გადაეცა კუტი ქალაქი. დანებების წინ მან ააფეთქა ყველა საყურადღებო სამხედრო მასალის საწყობები.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. ჩვენ მოულოდნელად მტერს თავს დავესხით და დავიკავეთ მათი თხრილები. დუოგინთან მტრის იერიშები შევაჩერეთ, ლიესანგიაში მტრის ყველა იერიშები უკუვაგდეთ.

პარიზი. 18 აპრილი დღის ცნობა ლასიშის ნაწილში გერმანელები განუწყვეტლივ უშენდა ჩვენს სიმაგრეებს. მოხ და ცხარე ბრძოლა ატიშ და მოლესთან, სადაც ჩვენ მტერს უკანვე წავართვით წინა დღით დაკარგული თხრილები, მაასის მარცხენა ნაპირზე ავაკურს უშენენ. ენთან გუშინ გერმანელებს ერთი თხრილი წავართვით და მირტომთან 53 კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. არგონების ბრძოლაშიაც ჩვენ გავიმარჯვეთ და ტყვედ 2 ოფიცერი წამოვიყვანეთ.

გორდის საკრედიტო ამხანაგობა.

გორდის საკრედიტო ამხანაგობა დაარსდა 1913 წ. 14 იანვარს. პირველად 43 წევრი ჰყავდა.

მათი გრძელ-ვადიანი კრედიტი იყო 2000 მ. და მოკლე ვადიანი კიდევ 2000 მ., 1914 წ მოკლე ვადიანი კრედიტი გადიდებული იქნა 6000 მ. ეს ხსენებული საკრედიტო ამხანაგობა დღეს დღეობით პირნათლად ემსახურება თავის მოვალეობას, სწრაფად იზრდება და ვფიქრობ ახლო მომავალში ის სავსებით გაიფურჩქნება და აყვავდება. თუ გამგეობა ჩვეულებრივად შრომასა და ენერგიას არ მოაკლებს.

კვირას, 27 მარტს, შესდგა ამ ამხანაგობის წევრთა წლიური კრება გრიგოლ ჩიქოვანის თავმჯდომარეობით. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ წლიურ კრებას არ დასწრებია ბ-ნი წვრილი კრედიტის ინსპექტორი. კრებას წარუდგინეს გამგეობის მოხსენება, საიდანაც გამოირკვა, რომ საანგარიშო წელს ამხანაგობას ჰყოლია 334 წევრი, ამათი კრედიტი უდრის 32340 მ. ამხანაგობას აღნიშნულ წელს დარჩენია წმინდა მოგება 426 მ. და 26 კაპ. საანგარიშო წელს შეადგენდა ამხანაგობის პასსივი ძირითადი თანხა 2126—60 კ. სათადარიგო თანხა 52—15 კაპ. შენობის ასაგებად გადადებული 348—02 მობარებული 3262—03 სესხი სახელმწ. ბანკიდან 2600—00 სამაშუალო ოპერაციები 102—32 გარდამავალი თანხა 41—41 წმინდა მოგება წლის 426—26 ჯამი 9956—83.

აქტივი: სესხი ვექსილებით 9707—25 ქონება 198—95 კასაშია 52—62 ჯამი 9958—82.

წმინდა მოგება 426 მ. 26 კ. კრებამ შემდეგნაირად გაანაწილა 170 მ. 50 კ. მიემატა ძირითად თანხას, 85 მ. 25 კ. სათადარიგოს, ათი მანეთი მიეცა ცეცხლით დაზარალებულ ამხანაგს იოსებ კუხალაშვილის, 160 მ 51 კ მიემატა საკუთარ შენობის ასაგებ ფონდს ასე რომ, დღეს დღეობით საკუთარი შენობის ასაგები ფონდი უდრის 508 მ 53 კ წლიურად ამ თანხას კრებამ 8°/₀ დაუნიშნა. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ წლიურ წმინდა მოგების განაწილების დროს კრება გულგრილად მოეპყრო სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებას: საჭირო იყო დახმარება აღმოეჩინა წყალდიდობის გამო დაქცეულ კინჩხის ერთკლასიან სკოლისათვის, გორდის სამკითხველოც არ უნდა დარჩენილიყო უნუგეშოდ. უნდა გადადებულიყო ცოტაოდენი თანხა ომში დაჭრილთათვის და სხვა თვალსაჩინო კულტურულ დაწესებულებათა სასარგებლოდ. ურიგო არ იქნებოდა ყოფილ გამგეობას მისცემოდა საჩუქარი განუზომელ შრომისათვის.

მიმდინარე წლისათვის კრება ამტკიცებს შემდეგ ხარჯებს: 180 მ. წლიურ ხარჯისათვის, 240 მ. ეძლევა საქმის მწარმოებელს და თავმჯდომარეს, 60 მ. მოლარეს 60 მ. მესამე წევრს სულ 540 მან.

კრებამ ერთხმად დაადგინა ითხოვონ სადაც ჯერ არს, სესხის 12000 მ. გადიდება. სხვა მრავალ დადგენილების შორის კრებამ მიიღო მომავალი კოოპერატიული ამხანაგობა საკრედიტო ამხანაგობაში წევრად თანხმად ამა წლის 1 ივლისის წესდებისა და გაუხსნეს მას 1000 მ კრედიტი

გამგეობის წევრად არჩეული იქნა ფარული კენჭის ყრით ისევ ძველი წევრები: მღ. რომანოზ ჩიხლაძე მწარმოებლად და თავმჯდომარედ, მოლარედ დიმიტრი ჩიქოვანი და მესამე წევრად მიხეილ ვაჩინაძე.

საბჭოს წევრებად კი მღ ზ ხურცილავა, ლ კუხალაშვილი და ტ ჩიქოვანი.

დასასრულ კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა ახლად არჩეულ, ძველ გამგეობას ნაყოფიერ შრომისათვის და დაავალა ჩვეულებრივად აწარმოვონ საჭირო ოპერაციები.

გ. მღებავასშვილი.

ქველმოქმედთა საყურადღებოთ

კვირას, 17 აპრილს, დიდ ძალი საზოგადოების თანდასწრებით, სავაჩხაის სასაფლაოზე დაკრძალეს გოტე ხუნდაძე. ქუთაისის სადგურის რკინის გზის მოხელე, რომელმაც 14 ამა აპრილს როგორც მკითხველებმა უკვე იციან, საღამოს 8 საათზე დანით ყელი გამოიჭრა. გოტე რამდენიმე სხვა რკინის გზის მოსამსახურე პირებთან ერთად რადაც საქმისა გამო გადაყენებული იყო სამსახურიდან და სხვებთან ერთად პასუხის გებაში იყო მიცემული. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ჯერ კიდევ გაურჩეველი იყო და არც იცოდა თუ რა შედეგი მოელოდა, მან ვერ მოითმინა და, როგორც სირცხვილის მქონემ, მორიდებულმა და თავმოყვარემ, ვერ გადიტანა ეს მოულოდნელი თავზარის დამცემი შემთხვევა და ძალით უდროვოდ გამოესალმა წუთისოფელს.

გოტეს დარჩა ყოველივე საშუალებას მოკლებული ახალგაზდა ცოლი და სამი წვრილი შვილი, უფროსი 14 წლისაა. მდგომარეობა ქვრივ ობლებისა სამწუხაროა. განსვენებულს არ დარჩენია არც სახლი, არც კარი და არც ფული. სცხოვრობდა ნაქირავებ სახლში და თავის ჯამაგირით ავად თუ კარგად მშვიდობიანათ ასაზრდოებდა ცოლშვილს

სასურველია, უმწეოთ დარჩენილ ქვრივ ობლებს დახმარებას აღმოუჩენდნენ გულშემატკივარი პირები.

ერ. გ—ა.

რუსეთი.

პიროგოვის ყრილობაზე

ყრილობაზე ერობისა და ქალაქების კავშირების წარმომადგენლებმა სამხედრო-სანიტარულ უწყების შესახებ საყურადღებო მოხსენებები წაიკითხეს. ორივე მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ საქმეს მაშინ ეშველება, თუ თვითმართველობის რეფორმა მოხდება და ორგანიზაცია ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე იქნება აგებული ამ საკითხზე კამათი მეტად გამწვავდა: ხანდიხან მშფოთვარე ხასიათსაც ღებულობდა. სასტიკი კრიტიკის ქვეშ გაატარეს სამხედრო უწყების ზოგი განკარგულებანი. ბევრმა ორატორმა აღნიშნა, რომ საექიმო საქმის მოწყობაში მოხელეები ხშირად ერევიან და გავლენას ახდენენ; აქედან სამხედრო სანიტარული საქმე არეულია და ხშირად თავის მიზანს ვერ აღწევს. ყრილობა შეეხო აგრეთვე სამხედრო ტყვეების მდგომარეობას რუსეთში, მაგრამ ზოგიერთები წინაღუდგენ, რომ ეს საკითხი გამოერკვიათ, რადგან მათი აზრით ეს გარემოება რუს ტყვეების მდგომარეობას გააფუჭებდა გერმანიაში თავჯდომარემ ასეთ ორატორებს შენიშნა, რომ გერმანია ტყვეების შესახებ ცნობებს რუსეთში ყრილობები რეზოლიუციებიდან კი არ ჰკრებს, არამედ სულ სხვა წყაროებიდან.

ლენის გმირი.

„ლენის ამბების" გმირი, როტმისტრი ტრეშჩენკო, რომელიც 1912 წელს 4 აპრილს ლენაზე მუშების დახოცვისათვის უმაღლესათ პასუხის გებაში იყო მიცემული, მომქმედ ჯარში თავისუფალ მეომრათ ჩაეწერა და ამით მოსალოდნელ სასჯელისაგან თავი გაინთავისუფლა: მისი „საქმე" სასამართლომ მოსპო.

სტუდენტებს კოოპერატივის დაარსების ნება არ მისცეს

პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებმა სიძვირესთან საბრძოლველად კოოპერატივის დაარსება განიზრახეს, თითქმის ყველა უწყების წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს ამაზე, მხოლოდ პოლიციის დეპარტამენტი წინ აღუდგა ამ აზრს. მარტში სტუდენტები ნებართვას ელოდენ და შტიურმერისაგან აპრილს ძლივს ეღირსნენ პასუხს: რადგან მოსალოდნელია სტუდენტების კოოპერატივი მემარცხენე სტუდენტების პოლემიკურ მოქმედების ბაზათ გადაიქცეს, ამიტომ იმის დაარსება მავნებლათ მიგვაჩნია და ნებას ვერ დავრთავთო.

ძირულის სამკითხველო.

რამდენიმე პირის ინიციატორობით, სად. ძირულაზე, ამ ერთი თვის წინად დაარსდა წიგნსაცავ-სამკითხველო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმის ინიციატორებს ყოველგვარი ზომები მიუღიათ სამკითხველოს რიგიანათ მოწყობისათვის. და, მართლაც, სამკითხველო ისეთი კოხტათა და ლამაზად არის მოწყობილი, რომ ესიამოვნება მნახველს.

იგი მოთავსებულია ერთს საკმაო მოზრდილ ოთახში, მეორე სართულში თქვენ ნახავთ ამ სამკითხველოში ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. არის რუსული გამოცემებიც. კედლებს ამშვენებს ჩვენი ქვეყნის სიამაყე მწერალ მოღვაწეთა. სურათები სამკითხველო დაარსებულია განსვენებულ ევნატე ნინოშვილის სახელობაზე დიდი მადლობის ღირსია ამ სამკითხველოს დამაარსებელნი ერმალოზ ებანოიძე, ხარატიშვილი, გელაშვილი და სხვანი. რომელნიც დიდის ხალისითა და ენერგიით ეპყრობიან კულტურულ დაწესებულებათა საქმის მოგვარებაში. განსაკუთრებული მადლობის ღირსია ბ-ნი ერმალოზ ებანოიძე რომელიც ერთგულად ემსახურება სიტყვითა და საქმით მრავალგვარ საზოგადო საქმეს, ამ პატარა დაბაში.

ასეთი საქმიანობა ჩვენი ხალხისა გვიმტკიცებს იმას, რომ ჩვენი ხალხი, მიუხედავათ იმისა რომ მთელი მსოფლიო ბრძოლის ცეცხლშია გახვეული, მაინც განაგრძობს შინაურ კულტურულ მუშაობას, შინაურ საქმიანობას და ღრმათ შეუგნია, რომ ერთადერთი ხსნა კულტურულ დაწესებულებათა გამრავლება-განმტკიცებაშია. ამის მაგალითს ჩვენ გვაძლევს ძირულის მოწინავე პირების მხნე და ერთსულოვანი მოქმედება.

ვუსურვებთ ძირულის სამკითხველოს უფრო მეტად გაფურჩქვნას ძირულელ მკვიდრთა საკეთილდღეოთ და მეტი ნაყოფის გამოღებას ხალხის გონებრივსა და ზნეობრივ განვითარების საქმეში.

დ—ა.

სიტყვა.

(წარმოთქმული ძირულის სამკითხველოს კურთხევის დროს ალ. ხარატაშვილისაგან).

სულითა და გულით და აღფრთოვანებული გრძნობით მოგესალმებით და გილოცავთ ისეთი დიდი და ყველასათვის სასარგებლო დაწესებულების დაარსებას, როგორიც არის წიგნ-საცავ-სამკითხველო, რომელსაც დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ეღირსა ჩვენი პატარა ბაზარი ძირულა.

არ ძალმიძს კალმით აღვწერო და ვუძღვნა ისეთი სამადლობელი სიტყვები, იმ პირებს, რომელთაც გასწიეს შრომა, მიმართეს იქ, სადაც ჯერ არს, და მოიპოვეს უფლება ასეთ სასიქადულო დაწესებულების დასაარსებლად.

ძირულის სამკითხველო! რა მშვენიერია ეს ორი სიტყვა... და რამდენ სასიხარულო გრძნობას გამოხატავს მის გულში, ვინაც აქაური მკვიდრი მცხოვრებია და ესმის ამ ორი სიტყვის დიადი მნიშვნელობა.

ბედნიერია დღეს მთაგორიანი პატარა ძირულა, ათასფრად შემოსილი მისი გორაკები ლურჯლოვანი ვარდ-ყვავილებით, და მოჩუხჩუხე მდინარე—ნაკადულებით.

ბედნიერია მიტომ, რომ უკვე ჩადგმულსა და გასკვნილ საძირკველზე აეგო შენობა და ღიაა მისი კარები, რომელშიაც არის გამართული მეორე სკოლა ცხოვრებისა, პროგრესიულათ წინ-სვლისა და განვითარებისა.

დღეიდან ყველას შეგვიძლია შევიტყოთ თუ რა—ხდება ქვეყანაზე, რა მდგომარეობას განიცდის დედა მიწის ზურგზე ყოველი ერი. და მათ ცხოვრებას შევადაროთ და შევუწონოთ განცდა ჩვენი გულისა და ამ შედარებაში გამოვნახოთ საუკეთესო ნიმუშები მათი ზნე-ჩვეულებისა, წესები მართვა-გამგეობისა, სწავლა განათლებისა და ამ მიმბაძველობით მივსცეთ ჩვენ ხალხს ისეთი ცოდნა, რომელიც ზნეობრივად და გონებრივათ აღამაღლებს მათ დაჩაგრულ და დაბეჩავებულ გულს...

წიგნ-საცავ სამკითხველო ეს არის ბრწყინვალე ლამპარი ცხოვრებისა და ცოდნისა.

ეს არის სინათლე, რომელიც აღშობს სიბნელეს, აქარწყლებს ყოველგვარ ბიწიერებას და აყვავებს სულიერათ ჩვენი გრძნობა გონების ინსტიქტებს.

ეს არის აკვანი და, შეიძლება, ასეც ითქვას,—ძიძა, რომლის ძუძუებიც ხელოვნურათ დაატკბობს ჩვენს არსებას.

დიახ, ბატონებო, ეს არის ფესვი იმ საყვარელი ხისა, რომლის ქვეშაც შეუძლია შეაფაროს თავი ყველა ჩვენგანმა, რომ დასტკბეს, დამშვიდდეს სულიერად და მით უფრო სასიხარულოა ამ ფესვის გახარება, რომ მას შეუძლია გამოებას მეორე, მესამე და ამ რიგათ ჩვენს მიდამოს მოეფინოს ეს ნაყოფიერი თესლი და ფესვებზე გაიხაროს, გაიზარდოს და აყვავდეს ის საყვარელი ხე, რომელიც არის ჩვენი ტურფა სამშობლო, ჩვენი საყვარელი ქართველო...

მაშ, გაუმარჯოს [illegible] დნის აკვანს!

გაუმარჯოს მის დამაარსებელთ და პირებს, რომლებიც ენერგიულათ შ დებიან მომავალში მის წინსვლელობ

გაუმარჯოს ჩვენ საყვარელ სამშობლ და ვუსურვოთ მას, რომ მის მიდამო მოეფინოს, როგორც ასეთი, აგრე სხვა მრავალი კულტურული დაწეს ლება, რომ მით აყვავებულიყოს და გ ნებრივათ განათლებულიყოს დღემდის ნელით მოცული მისი დაბეჩავებული

თეატრი და ხელოვნებ

სამშაბათს, 12 აპრილს, დ. საჩხერეში გილობრივი სცენის მოყვარეებისაგან წა დგენილ იქნა 3 მოქ. დრამა „აღდგომა" ნევსკის, თარგმანი ბაღანჩივაძისა. შესანიშ ვათ შეასრულეს ნაკისრი როლები: ქალი იაკობაშვილის ქალმა (რაისას როლი), ი აფტალიძემ (არკადის როლი) კარგი ი აგრეთვე ლადიკო წერეთელი (რაზდი როლში) და ვერიჩკა წერეთლისა (გ როლში). დანარჩენნი ხელს უწყობდნ ბლას.

ხალხი ბლომად დაესწრო, რადგან ბი თები ხელმისაწდომი იყო ყველასათვის. ად ლობრივი სცენის მოყვარენი ღირსნი არ დიდის მადლობისა, ენერგიული მუშაობისა

Acus.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნ მერში დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

თქვენი გაზეთის 324-ე №-ში ბ. სარჯველაძე გვიწვევს სამედიატორო სა თალში ჩვენ ალექსი იმნაძეს, ვლადიმერ ჯაბაძეს და სხვა ჩვენ ამხანაგ მუშებს წამებისათვის ჩვენ სიამოვნებით გ ბ. სარჯ. სამედიატორო სამართალში ჩვენის მხრით ვირჩევთ მედიატორებად ბარ. შარაშიძეს და ბ. უმაან გლოვერს.

ამხანაგობის მინდობილობით ჭვარდამ ჩუღაა.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლ**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი სოდა

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზე ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აწარმოებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავადმყოფებას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ უწერენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილს** საადთიაქო მაღაზიაში.

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, ადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

(წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.